

გამოხმაურება

ზურაბ კიკნაძე

„სამყარო ვითარცა ნება და წარმოდგენის“ თარგმანისთვის

ვიქტორ რცხილაძემ, გერმანული ფილოსოფიური და მისტიკური ტექსტების ცნობილმა მთარგმნელმა თავისი თარგმანების სიას ახალი თარგმანი შეჰმატა. ხელთა გვაქვს არტურ შოპენჰაუერის ეპოქალური ნაშრომი „სამყარო ვითარცა ნება და წარმოდგენა“: ამ ორასი წლის წინათ ლაიპციგში გამოცემული წიგნი ქართულ ენაზე თბილისში დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში ქვეყნდება. დაგვიანება კატასტროფულია. თუმცა პესიმისტის და სკეპტიკოსის, ამა სოფლის ამაოების მამხილებელი არტურ შოპენჰაუერი სახელი ქართული საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით, ბევრი ახალგაზრდისთვის, რომელიც მის გამონათქვამებს სხვადასხვა წყაროებიდან ეწაფებოდა, არცთუ უცნობი იყო. სად შეიძლებოდა წაწყდომოდა ევროპული ფილოსოფიით (რომელიც მხოლოდ ევროპული შეიძლება ყოფილიყო მის იმჟამინდელ თვალში) დაინტერესებული ყმაწვილი შოპენჰაუერის სახელს? ჩვენს შემთხვევაში ეს იყო მეგობრის ერთოთახიან ბინაში დახვრეტილი დედისძმის წიგნებით სავსე წნული კიდობანი, რალაც მანქანებით რომ გადარჩენოდა კონფისკაციას. მეგობრის ყოველი მისვლისას თითქოს რიტუალურად ამოაძვრენდა თითო წიგნს კიდობნის იმჟამინდელი პატრონი, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე. მახსოვს, როგორი იდუმალეობა ამოჰყვა კოლენკორის მაგარ ყდაში ჩასმულ რუსულ წიგნს გერმანული სათაურით, რომლის მნიშვნელობა კარგა ხანს არ გვესმოდა Артур Шопенгауеръ Parerga und Paralipomena. სხვაგანაც იყო ანალოგიურადვე გადარჩენილი მსგავსი წნული კიდობანი, სადაც შოპენჰაუერის სხვა წიგნი განისვენებდა მნახველ-მკითხველის მოლოდინში. ეს მისი ეპოქალური წიგნი იყო სწორედ Миръ как воля и представление, ასევე მაგარყდიანი, ოქროს ჭრილით (золотым обрезом). ამგვარი უცხო სახე

წიგნისა, როგორც მაშინ გვეჩვენებოდა, ჩვენი განჭვრეტით, წიგნის შინაარსისა და მისი ავტორისადმი უღრმესი პატივისცემის გამოხატულება იყო. ალბათ არც ვცდებოდით. იმჟამად სკოლის მოსწავლისთვის საკმარისი იყო მწირი, თუმცა როგორღაც ტევადი ინფორმაცია მათ ავტორზე, რომელიც ლოგიკისა თუ ფსიქოლოგიის გაკვეთილზე მთელ კლასს მოგვაწოდა ოლია ჭეიშვილმა, მე-7 ვაჟთა სკოლის დაუვიწყარმა პედაგოგმა, რომლის ვაჟი, შემდგომ ცნობილი ლოგიკოსი, ზურაბ მიქელაძე იმჟამად პოლიტიკურ გადასახლებაში იყო. ამ წიგნების შემყურე და იმ მწირი ცნობებით აღჭურვილ ორ მეგობარს (მე და ედიშერ გიორგაძეს) გვეჩვენებოდა, რომ წაუკითხავადაც გვესმოდა მათი შინაარსი.

არც ჩვენს მე-19 საუკუნეს, არც მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედს, როცა ეს შესაძლებელი იყო, გერმანელი ფილოსოფოსის კლასიკური ნაშრომის ქართულად თარგმანზე არ უზრუნვია. საბჭოთა რეჟიმის დროს ეს საქმე ფიქრადაც არავის მოუვიდოდა. შოპენჰაუერი და მისი ეს წიგნი გამონაკლისი არ არის. იძულებით და, ამიტომაც, ადვილად გასამხელ ცოდვად უნდა მივიჩნიოთ, – და ამას დღემდე შერიგებული ვართ – რომ გერმანული ფილოსოფიის კლასიკოსს თუ შემდგომი თაობების გახმაურებულ ავტორს მათით დაინტერესებული (მხედველობაში არ მყავს პროფესიონალი ფილოსოფოსი) ბევრი ქართველი მკითხველი, ვისაც დედანზე ხელი არ მიუწვდება, რუსულ თარგმანში კითხულობს. ეს მხოლოდ ფილოსოფიურ ლიტერატურას არ ეხება. და არც მხოლოდ გერმანულს... ეს წიგნი რუსულად პირველად ათანასი ფეტმა, პოეტმა (!), თარგმნა. პირველად გამოქვეყნდა 1881, მეორედ 1888 წელს, როცა საქართველოში 1879 წელს ახლადდაარსებული „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ პირველ ნაბიჯებს დგამდა. ქართველ მკითხველს ჯერ მშობლიურ ენაზე უნდა ესწავლა წერა-კითხვა. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ იმ ხანად მისი მთარგმნელი არ გამოჩენილა (პოეტთა შორის, რომ დასცლოდა, ეს შეიძლება ნიკოლოზ ბარათაშვილი ყოფილიყო) ან, თუ გამოჩნდებოდა, მის მთარგმნელს ვინ უნდა ეგულვა თარგმანის ადრესატად? ამჟამად კი ადრესატები საკმაოდ არიან და ამ არცთუ იოლ წამოწყებას თავის რეზონი აქვს. თუმცა, შესაძლოა, დაისვას კითხვა, თუ რა აქტუალობა შეიძლება ჰქონდეს ორი ასეული წლის წინათ დაწერილ წიგნს, რომელიც შესაძლოა, ვისმე უიმედოდ მოძველებულად მოეჩვენოს. ავტორი ამ თავის არაორდინალურ ქმნილებას ემანუილ კანტისგან შთაგონებულად მიიჩნევს, ოღონდ კენიგსბერგელი მოაზროვნის ძირითად კონცეფტს – „საგანს თავისთავად“ იგი საკუთარი განჭვრეტით აღრმავებს, მიიჩნევს რა მის საფუძვლად განუსაზღვრელ, არაფრით განპირობებულ

ნებას, რითაც, ერთი მხრივ, იაკობ ბომესეულ Abgrund-ს (უფსკრულს) ენათესავება, მეორე მხრივ, დაუსაბამო, თავად ღვთის საფუძვლად მყოფი თავისუფლების კონცეფტს, რომელსაც ნიკოლაი ბერდიაევი გაბედულად ავითარებდა, ან ათეისტური ეკსისტენციალისტიკების ნააზრევს. მეორე მხრივ, სიმპტომატურია წიგნის „ღულისტური“ სათაური, სადაც სიტყვა „ნება“ აქტიურ (ფაუსტურ) დასავლეთზე, „წარმოდგენა“ კი, იგივე *მაია*, ინდურ მსოფლგანცდაზე მიუთითებს. ეს ფაქტი ერთგვარად ევროპის ღიაობას და ყოვლის მიმღებლობას მოწმობს. თითქოს იმათი საყვედურის მოსაგერიებლად, ვინც ფიქრობს, რომ ქრისტიანობისგან ესოდენ დაშორებული, გულახდილად ათეისტური წიგნის თარგმნა ქრისტიან ადამიანს არ უნდა ეტვირთა, ვ. რცხილაძეს რამდენიმე არგუმენტი მოყავს. ერთია სამყაროს, მატერიალური ქმნილების აღსასრულის ქრისტიანული თეოლოგუმენი, რომელიც თანხვედრაშია შოპენჰაუერის განჭვრეტასთან, რომ ეს რეალობა, სოფელი, წუთისოფელი, ტანჯვის საუფლოა და უნდა განქარდეს (აქ შეგვიძლია დავიმოწმოთ სოფლის – *კოსმოსის* სახარებისეული შეფასება და იოანე მოციქულის ეპოქალური სიტყვები: „ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა დგას“). მთარგმნელის შეფასებით ღირებულია მატერიალიზმის კრიტიკა, თუნდაც იგი ათეისტისგან მომდინარეობდეს (გვ. 12). ვ. რცხილაძე სამართლიანად იმოწმებს ჰანს მაიერის თამამ შენიშვნას, რომ „მიუხედავად შოპენჰაუერის მიერ ღვთის მკვეთრი უარყოფისა [...], იგი ქრისტიანობის პრაქტიკულ ბირთვს უფრო მიუახლოვდა, ვიდრე გერმანული იდეალიზმის წარმომადგენლები“ (გვ. 11). ამასთან დაკავშირებით ჩვენც შევაწევთ ჩვენს სიტყვას, რომ ქრისტიანობის მგზნებარე უარმყოფელში, როგორსაც ამ შემთხვევაში შოპენჰაუერი წარმოადგენს, უფრო მეტი, ოღონდ ფარული, პოტენციური ქრისტიანობაა, ვიდრე ქრისტიანობის გულგრილ აღმსარებელში („ესრეთ ნელ-ტფილი ხარ და არცა გრილი, არცა ტფილი“, გამოცხ. 3:16). სიმპტომატურია ამ მხრივ მისგან მრავალწილად დავალებული ნიცშეს მოვლენა, რომელიც მხოლოდ ქრისტიანობის წიაღშია შესაძლებელი და გასაგებიც კი და, კერძოდ, მისი გამონათქვამი შოპენჰაუერის „მრწამსზე“, რომელსაც მთარგმნელი იმოწმებს, რომ შოპენჰაუერი ასწავლის მკაცრ ათეიზმს, რომელსაც არ შორდება ღმერთის ჩრდილი (გვ. 12). დიდებული მეტაფორაა ეს „ჩრდილი“, კონცეპტუალურია: განა ათეიზმი, როგორც ქრისტიანული თეიზმის კონტრაპუნქტული გამოწვევა, ქრისტიანობის ჩრდილში არ არის შექმნილი? ან თუ არსებობდა ქრისტიანობამდე ე. წ. განმანათლებლობის დროიდან მომდინარე ტრიუმფალური ათეიზმი, რომელიც, საბოლოოდ, ცნობილი რეჟიმის დროს „მებრძოლ უღმერთოებაში“ გადაიზარდა?

არათუ ქრისტიანის მიერ, არამედ საერთოდ, თარგმნა კლასიკური გერმანული ფილოსოფიის ამ შედეგისა, დღევანდელი ულტრაორთოდოქსის თვალში, რომელიც თავისი სივიწროვით ქრისტიანობისგან შორს არის, მკრეხელობის დარი აქტია. მაგრამ საკაცობრიო აზროვნება, კერძოდ, ფილოსოფია ამ ვიწრო თვალსაწიერით არ შემოზღუდულა. დავიმოწმით ნიკოლაი ბერდიაევის მართალი სიტყვა: „ქრისტიანობაში შესაძლებელია არა მხოლოდ წმ. თომა აკვინელი, არამედ იაკობ ბომეცი; არა მხოლოდ მიტროპოლიტი ფილარეტი, არამედ ვლ. სოლოვიოვიც.“ შოპენჰაუერიც შეგვეძლო რომელიმე ქრისტიან ღვთისმეტყველთან დაგვეწყვილებინა („დაპირისპირებულთა“ სია შეგვიძლია დაუსრულებლად გავზარდოთ...). ეს სამოთხის გარეთ მყოფი ადამის აზროვნებაა, რომელსაც ამ სამყაროში არსებობის უფლება აქვს დოგმატური თეოლოგიის გვერდით. თუ ქრისტიანულ ისტორიოსოფიულ ტერმინს გამოვიყენებთ, ეს ყველაფერი ღვთიური მიშვების შედეგად არსებობს. ამას საკაცობრიო ისტორია მოწმობს, რომელიც თავის გადახრა-ხვეულებში და შუქ-ჩრდილებში ყოველთვის არ მიჰყვება ღვთის ნებას. მხოლოდ ღვთის ნებით რომ იყოს დასაზღვრული კაცობრიობის ცხოვრება, ისტორია არც კი დაიწყებოდა. და, თუ მხოლოდ ადამიანური ნება იარსებებდა, კაცობრიობა ან წამისყოფით უფსკრულში გადაიჩეხებოდა, ან ისტორიის ამ დავიდარაბას დასასრული არ ექნებოდა (ქრისტიანობა კი ესქატოლოგიური მომავლისკენ, სოფლის აბსოლუტური დასასრულისკენ არის მიმართული). თავისუფალი, სეკულარული ფილოსოფია იმგვარადვე გარდაუვალია, როგორაც ძე შეცდომილის იგავი, რომელიც თავის უზოგადეს განჭვრეტაში სეკულარული კულტურის მასაზრდოებელი წყაროა, რომელიც საბოლოოდ მაინც მამისკენ მიიქცევა. ქრისტიმ თავის ამ იგავში გზადაკარგული და დაბრუნებული უმცროსი ძმა შინ დარჩენილ უფროს ძმაზე უპირატესად გამოაჩინა. გაშფოთებს თუ იმედს გიღვიძებს (ვის როგორ...), ეს ისტორიული ფაქტია და ვერავინ ინდომებს საკაცობრიო შედეგების სანაგვეზე გადაყრას იმ მოტივით, რომ ისინი რწმენისმიერი დოგმებით არ გველაპარაკებიან. დაე, გამოთქვას ადამმა თავისი, თუნდაც მცდარი, აზრი; დაე, გაიარონ დოსტოევსკის თუ ფოლკნერის მოუსვენარმა თუ ტრაგიკულმა გმირებმა, ნიცშემ თუ გალაკტიონმა განსაცდელნი, რომლებიც თავიანთი არსებობით უღრმეს ადამიანურ, ტრაგიკულ საიდუმლოებებს ამხელენ! შოპენჰაუერისთვის ეს სოფელი რჩება ყველაზე უარესად შესაძლებელ სოფელთა შორის. თავისი აწმყოს უბადობის განმცდელმა („ჩემი ეპოქა და მე ერთმანეთს ვუპირისპირდებით“) და მომდევნო საუკუნის ქართვეილების განმჭვრეტმა ნალველსა და სასოწარკვეთაში განლია წუთისოფელი და მისი განს-

ჯის უფლება, უკანასკნელი მსაჯულის გარდა, არავის აქვს... ეს წიგნი მისი პირმშოა და რად ღირს მის წარმოშობაზე ნათქვამი ავტორისავე სიტყვები: „ეს ქმნილება იზრდება თანდათან და ნელ-ნელა ინაკვეთება, როგოც ნაყოფი დედის საშოში... ვერ ვხვდები, როგორ წარმოიშვა ჩემი ქმნილება, როგორც დედა ვერ ხვდება, როგორ წარმოიშვა ბავშვი მის სხეულში. მე შევცქერი მას და ვამბობ, როგორც დედა: კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა ჩემისა.“

არტურ შოპენჰაუერის ნააზრევი, რომელსაც ქვეყნის დასასრულამდე ყავლი არ გაუვა, დასავლური ცივილიზაციის ერთ საგულისხმო ნიშანს გვიძახებს, რომლისგანაც ჩვენი „გემაინშაფტური“ მენტალიტეტი ძალზე შორს დგას. მიუხედავად იმისა, რომ შოპენჰაუერს იმანუელ კანტის სიდიდის მოაზროვნე არავინ ეგულება ფილოსოფიის ისტორიაში, – გამონაკლისი მისთვის მხოლოდ არისტოტელეა, ორივენი, მისი საოცარი თქმით, აზროვნებაში და, ალბათ, ყოფით ცხოვრებაშიც, „ბრწყინვალე სიმშრალის“ მაგალითს იძლევიან, – მიუხედავად იმისა, რომ იგი მის დებულებებზე აშენებს თავის მოძღვრებას და მისი მგზნებარე დამცველია, მაინც შეუძლია დასდო ბრალი თავის მოძღვარს საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში და აუცდენელ შეცდომებში. მისთვის ჭეშმარიტება უმაღლესი ინსტანციაა. როგორი სიმართლეა ამ სიტყვებში: „ის, რომ კანტის დიდ მიღწევებს დიდი შეცდომებიც თან უნდა ხლებოდეთ, უკვე ისტორიულად მოიაზრება...!“ (ვეჭვობ, ჩვენში ასეთი რამ ეთქვას ავტორიტეტად მიჩნეულ სწავლულზე რომელსამე მის მოწაფეთაგან). ამ კეთილსინდისიერი აღიარების გვერდით კანტი რჩება მისთვის ფილოსოფიური აზროვნების ეტალონად. რად ჩანს ჰეგელი, გერმანული ფილოსოფიის სხვა მწვევრვალი, მის თვალში კანტთან შედარებით? აი, რას წერს იგი: „ამ ბოლო წლებში ხელთ ჩამივარდა ჰეგელიანელთა თხზულებები, რომლებიც კანტის ფილოსოფიას გადმოსცემენ და რომლებიც ფანტასტიკამდე მიდიან. როგორ შეუძლიათ უკვე სიყრმისეული ასაკიდან ჰეგელიანელობის ნაღრძობ და გაფუჭებულ თავებს შესწევდეთ უნარი კანტის ღრმააზროვან გამოკვლევებს მისდიონ?“ ამ აშკარად, რბილად რომ ვთქვათ, მიკერძოებულ შეფასებაში (თუ ეს შეფასებად ჩაითვლება) ჩანს, ერთი მხრივ, პიროვნების მშთანთქმელი აბსოლუტური სულის ფილოსოფიის მიუღებლობა მისი მხრიდან, რომლის აზროვნება, რითაც ის კანტს შორდება, ადამიანის ეკსისტენციას უტრიალებს გარს; მეორე მხრივ, პიროვნული ანტიპათია ჰეგელისადმი, რომელმაც ბერლინში საპრივატდოცენტო გასაუბრებისას მას ირონიული კითხვა დაუსვა, რამაც თავად შემეკითხველი ჩააყენა უხერხულ მდგომარეობაში. ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა იყო. რამდენად მიუღებელი, მეტიც, ანტიპათიური უნდა ყოფილიყო

„სამყარო ვითარცა ნება და წარმოდგენის“ ავტორისთვის ჰეგელი, რომ არა ვისმესთან პირად საუბარში, არამედ გამოქვეყნებულ წიგნში ამგვარად ეხსენებინა იგი: „ტლანქი და უნიჭო ჰეგელი“. თუმცა ჰეგელი ამ დროს ცოცხალი აღარ იყო.

მისი ამბიციის, რამაც ერთგვარად გაამართლა თავი მომდევნო საუკუნეში, რბილად რომ ვთქვათ, თვითგანდიდების ელემენტს შეიცავს. მისთვის არ არსებობს არც ჰეგელი, არც ფიხტე, არც შელინგი, რომ არ ვახსენოთ რიგითი ფილოსოფოსები, რომელთა ნაკლებობა გერმანიის არც ერთ ქალაქში არ იყო. კანტი და მისი „ჩრდილი“ შოპენჰაუერი იყვნენ, მისი რწმენით, ამ ხანად აზრთა ერთადერთი მპყრობელნი. აი, რას ურჩევს იგი ახალგაზრდობას:

„ყმაწვილებს კი მთელი გულწრფელობითა და კეთილმოსურნეობით ვურჩევდი, ნუ გაფლანგავენ დროს საკათედრო ფილოსოფიისთვის და მის ნაცვლად შეისწავლონ კანტის შრომები და ჩემებიც მათთან ერთად. მათში ისინი ჰპოვებენ სერიოზულს რასმე, ვპირდები, რომ მათ გონებაში დაივანებს სინათლე და წესრიგი, რამდენადაც ამის აღქმა შეეძლება“.

დასავლური აზროვნების ამ ნაყოფის თარგმნას ქართულ ენაზე ვინმეს წინაშე აპოლოგია ნამდვილად არ ესაჭიროება. არის ერთი გარემოება: მთარგმნელის სიტყვებს რომ „ყოველ ცივილიზებულ ერში არსებობს შოპენჰაუერის თარგმნის ტრადიცია“ (გვ. 36) სრულიად ვეთანხმებით. ცივილიზებული ერის ამოსაცნობად, ვინ როგორ შეხედავს, მაგრამ მთარგმნელთან ერთად ეს ნიშანი ჩვენთვისაც სანდო კრიტერიუმი. მაგრამ რამდენად ვიმსახურებთ ცივილიზებული ერის სახელს, როცა ჩვენში ეს ტრადიცია მხოლოდ ერთ ათეულ წელსაც არ ითვლის. 2008 წელს გამოქვეყნდა ამ ავტორის „მშვენიერების მეტაფიზიკა“; თარგმნილი ვლადიმერ ფეიქრიშვილის მიერ (რედ. ნოდარ ნათაძე). ექვსი წლის შემდეგ მას „სამყარო ვითარცა ნება და წარმოდგენა“ მიჰყვა. ტრადიცია ფხვს იდგამს ჩვენს თვალწინ. არტურ შოპენჰაუერს კიდევ აქვს არა ნაკლებ საყურადღებო ნაშრომი, რომელმაც, სხვათა შორს, გზა გაუკვალა გერმანელ მკითხველს მისი ახალგაზრდობის პირმშოსკენ, რომელიც კარგა ხანს მიჩქმალული იყო. მაგრამ ნუ შემოვიზღუდებით შოპენჰაუერით, რომელიც ამ კონტექსტში ჩვენი ევროპული (resp. ცივილიზებულობის) იდენტობის მხოლოდ სიმბოლურ ნიშნად მივიჩნით. თუმცა ჩვენ ევროპის ქმნადობაში მონაწილეობა არ მიგვიღია და არ ვართ მისი მემკვიდრენი, მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძლია ვეზიაროთ მის უჭკნობ აზროვნების კულტურას, რომელსაც არასოდეს ყავლი არ გაუვა. ამ ზიარებაში გადამწყვეტი სიტყვა, ბუნებრივია, თარგმანს აქვს, რომლის რესურსები დღეს, როგორც არას-

დროს მოგვეპოვება. ჩვენს ახალგაზრდა თაობაში ბევრი სრულყოფილად ფლობს სამივე ევროპულ ენას.

წინასიტყვაობის ბოლოს მთარგმნელი სთხოვს მკითხველს, თუკი რამ შეუსაბამოს აღმოაჩენს მის თარგმანში, შემდობი იყოს მის მიმართ. „შეუსაბამოს“ აღმოჩენა არ არის ჩემი ნაწერის მიზანი. ვიქტორ რცხილაძე გამოცდილი მთარგმნელია გერმანული თუ რუსული ფილოსოფიური ტექსტებისა. მისი თარგმანები, როგორც წესი, ალჭურვილია სიღრმისეული კომენტარებით, სადაც ის თავის დამოკიდებულებას აცხადებს ამა თუ იმ პრობლემისადმი. შოპენჰაუერის ამ წიგნის მიმართაც ასე იქცევა. მის მიერ ნათარგმნი ეს კლასიკური ტექსტი ყოველთვის არ არის მისთვის ეჭვმიუტანელი ჭეშმარიტების შემცველი. კრიტიკას იმსახურებს შოპენჰაუერის ონტოლოგია და ეთიკა, რასაც შენიშნავს კიდევ მთარგმნელი, მაგრამ მისი სიძლიერე პრობლემებისადმი შემოქმედებით მიდგომაშია. ფილოსოფიაში ის ხელოვანია, რასაც, მისი შემჩნევით, „დიდი კანტი“, მისი შთამაგონებელი, მოკლებული იყო.

დაბოლოს, ჩვენი დროის გამომცემლების უმეტესობას უფრო ხშირად, თუ როგორც წესი არა, ბესტსელერებისკენ აქვთ ორიენტაცია. სავარაუდო ბესტსელერებს უკვეთენ ავტორებს. მაგრამ საწინააღმდეგოდ და, სამაგალითოდაც, მოიქცა Carpe diem-ის გამომცემელი თავად ფილოსოფოსი ალექო ალადაშვილი: მისი წინადადებით ითარგმნა, როგორც მთარგმნელი გვამცნობს თავის წინასიტყვაობაში (გვ. 14), ეს არცთუ ადვილად წასაკითხი წიგნი. დავსძენთ, რომ ამავე გამომცემლობაში დაიბეჭდა შოპენჰაუერის „ცხოვრებისეული სიბრძნის აფორიზმები“, წლინახევრის წინ გამოჩნდა ბაჩანა ბრეგვაძის ნათარგმნი „ენაღები“ (2015), „ფედონი“ (2016), „პარმენიდე“ (2016), და მისივე თხზულებების ოთხტომეული. ამავე გამომცემლობამ პირველად გამოაქვეყნა კანტის ორი მნიშვნელოვანი წიგნი – „პრაქტიკული გონების კრიტიკა“ და „ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება“.

იმედია, ფილოსოფიური ტექსტების მთარგმნელთა და ფილოსოფოს-გამომცემლის ეს თანამშრომლობა გაგრძელდება და ახალ ძალებსაც მიიზიდავს.